MES 7 20 00353078

29/04/2020

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **დავით მალაზონია -** შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **გიორგი გიგიბერია -** ა(ა)იპ - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნატალია შანიძე -** შპს „ათასწლეულის სკოლის“ მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი, მათემატიკის მასწავლებელი - საბჭოს მდივანი;
4. **ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე;
5. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
6. **ირმა ბარბაქაძე -** შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
7. **ავთანდილ აბდუშელიშვილი -** შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი;
8. **კახაბერ ფარცვანია** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი;
9. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის - თბილისის“ აკადემიური დირექტორი, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი;

10. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ - განათლების პოლიტიკის, დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ფრანგული სკოლა
ლუიზა თუთარაშვილი - დირექტორი

შპს თამარისი
ზაურ სოლომონიძე - დირექტორის მოადგილე

სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმი
ცისიერ დიღმელაშვილი - დირექტორი

შპს არეა
ელენე როგავა - დირექტორი

შპს სკოლა გიმნაზია პირველი
ზვიად არძენაძე - იურისტი
ნინო ოქროჯანაშვილი - დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტ ები):

შპს ფრანგული სკოლა
მაკა ნადარეიშვილი
თამარ მიდელაშვილი

შპს თამარისი
ვერა ყურულაშვილი
ნინო მუმლაძე

სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმი
ციალა გაგნიძე
ეკატერინე ვეკუა

შპს არეა
მიხეილ ტეფნაძე
ნინო მჭედლიშვილი

შპს სკოლა გიმნაზია პირველი
ლელა ფიცხელაური
მაკა ჭიაბერაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდება ონლაინ რეჟიმში.

სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom - ის საშუალებით) **2020 წლის 13 აპრილს, 14:00 საათზე.** სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ფრანგულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს თამარისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგულ სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს არეაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს სკოლა-გიმნაზია პირველში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

ამის შემდეგ მან მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარდგენილი, ამიტომ დამტკიცდა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1. შპს ფრანგულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ აღიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ საბჭოს სხდომას. მან მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის შედგენისთანავე.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ნადარეიშვილმა და თამარ მიდელაშვილმა. ექპერტმა მაკა ნადარეიშვილმა განმარტა, რომ აღნიშნულ სკოლას საბჭოს მიერ განსაზღვრული ჰქონდა 60 დღიანი ვადა მონიტორინგის ვიზიტის დროს დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად. მან აღნიშნა, რომ სკოლას გათვალისწინებული ჰქონდა პირველი ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები და გამოსწორებული ჰქონდა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები; საბოლოოდ გაკეთებული დასკვნის შედეგად სკოლამ დააკმაყოფილა ყველა სტანდარტი.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას მიეცა მხოლოდ ორი რეკომენდაცია, რაც წინა ვიზიტის პერიოდში შემუშავებულ დასკვნაშიც იყო აღწერილი, თუმცა არ მოხდა მათი გათვალისწინება. ეს რეკომენდაციები იყო შემდეგი: იქიდან გამომდინარე, რომ მეთორმეტე კლასი პარასკევს ისვენებდა, სკოლას სასწავლო კვირის შემცირებული განრიგი უნდა შეეთანხმებინა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპროტის სამინისტროსთან. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ობიექტური მიზეზების გამო თუ სკოლა მიზანშეწონილად მიიჩნევდა კვირის რომელიმე დღე განესაზღვრა დასვენების დღედ, უნდა შეათანხმოს სამინისტროსთან.
სკოლას შემოსული და გასული წერილებისა და ბრძანებების აღრიცხვა მატერიალურადაც უნდა ეწარმოებინა.
ექპერტის განმარტებით, მეთორმეტე კლასისათვის პარასკევის დასვენების დღედ გამოცხადება, იყო მშობლების თხოვნის გათალისწინების მიზეზი. თუმცა მისივე განმარტებით, მათ გაკვეთილები სრულყოფილად უტარდებოდათ, ე.ი. სკოლას საათობრივი დატვირთვა წესრიგში ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონიათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ფრანგული სკოლისავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 10

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ფრანგული სკოლის(ს/კ: 245438281) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს თამარისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს

წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის შედგენისთანავე.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ვერა ყურულაშვილმა და ნინო მუმლაძემ. მათ განმარტეს, რომ სკოლას მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად, საბჭოს მიერ განსაზღვრული ჰქონდა 60 დღიანი ვადა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათ შეისწავლეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ხარვეზების გამოსწორების შესახებ, საიდანაც ირკვეოდა, რომ სკოლამ გამოასწორა დაფიქსირებული ხარვეზები და გაითვალისწინა რეკომენდაციები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამებოდა, როგორც ეროვნულ სასწავლო გეგმას, ისე ავტორიზაციის სტანდარტებს.
ექპერტის განმარტებით სკოლა მიეცა რეკომენდაცია, დაწყებით საფეხურზე მოსწვალეებს სასურველი იყო ჩატარებოდათ ფიზიკური აღზრდა, რადგან მხოლოდ ჭადრაკი იყო სასკოლო სასწავლო გეგმაში დაფიქსირებული.
სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სპორტთან დაკავშირებით ჩანაწერის პრობლემა იყო. დაწყებით კლასებში ჭადრაკის გარდა მოსწავლეებს უტარდებოდათ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებიც. პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით მოსწავლეებს გაკვეთილს უტარებდნენ დაწყებითი კლასის მასწავლებლები, ხოლო მეხუთე და მეექვსე კლასებში ასწავლიდათ სპორტის მასწავლებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონიათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თამარისის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 10

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თამარისის (ს/კ: 446966025) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ - ფრანგულ სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მ ონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს,

დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის შედგენისთანავე.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ციალა გაგნიძემ და ეკატერინე ვეკუამ.
საბჭოს თავმჯდომარემ დასაწყისშივე აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა 60 დღიანი ვადა მიცემული მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაცემული რეკომენდაციები გაითვალისწინა და ხარვეზები გამოასწორა, რომლებიც ძირითადათ დაფიქსირებული იყო მატერიალური სტანდარტის ნაწილში. სკოლამ შეავსო მერხების რაოდენობა, ბიბლიოთეკაში დადგა ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, რომელის დასადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა მიღება ჩაბარების აქტი. სკოლამ ასევე შეავსო გრიფ მინიჭებული სახელმძღვანელოების რაოდენობა, რომელიც წინა ვიზიტის პერიოდში არასაკმარისი ჰქონდა. სკოლას ასევე შეძენილი ჰქონდა კამერები, როგორც შიდა ისე გარე პერიმეტრისთვის. ექსპერთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სკოლამ წარმოადგინა შრომითი ხელშეკრულების ფორმა, რომლითაც დაკმაყოფილებული იყო ძირითადი მოთხოვნები.
ექპერტმა განმარტა, რომ დარღვევა იკვეთებოდა დაწესებულების საერთო ფართთან დაკავშირებით. დაწესებულება მდებარეობდა სოფელ პატარძეულში და მას ეკავა ორსართულიანი შენობის პირველი სართულის ნაწილი და მეორე სართული მთვლიანად. პირველი სართულის ნაწილზე განთავსებიუი იყო საბავშვო ბაღი. დაწესებულების ეზო მოქცეული იყო საერთო სარგებლობაში , რაც ექსპერტების მიერ ჩაითვალა დარღვევად. სკოლას დასკვნის პროექტის საპასუხოდ წარმოდგენილი ჰქონდა პოზიცია ეზოს გამიჯვნასთან დაკავშირებით, საიდანაც ირკვეოდა, რომ სკოლს გაკეთებული ჰქონდა ეზოს გამიჯვნის პროექტირება, მოძიებული ჰქონდა გასამიჯნი მასალები, თუმცა სკოლა აფიქსირებდა, რომ გამიჯვნას მოახდენდნენ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონიათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგულ სკოლა-ლიცეუმისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 10

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგულ სკოლა-ლიცეუმის (ს/კ:238113439) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. შპს არეაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მიხეილ ტეფნაძემ და ნინო მჭედლიშვილმა.

ჯგუფის თავმჯდომარემ მიხეილ ტეფნაძემ განმარტა, რომ ორდღიანი ვიზიტის პერიოდში დაიწერა რამდენიმე რეკომენდაცია და გამოიკვეთა ორი ხარვეზი. ხარვეზები ეხებოდა მატერიალური რესურსის სტანდარტს, კერძოდ სკოლას ჰქონდა არსაკმარისი რაოდენობის კომპიუტერები. ვიზიტისას სკოლაში იყო მხოლოდ სამი მუშა კომპიტერი; სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზრრული რაოდნეობა კი განსაზღვრული ჰქონდა 320-ით.

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N672 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დაწესებულებას სულ მცირე 16 ინტერნეტით უზრუნველყოფილი მუშა კომპიუტერი უნდა ჰქონოდა. ასეევე სკოლას გარე პერიმეტრზე არ ჰქონდა დამონტაჟებული ვიდეო-კამერები, რომლითაც შეძლებდა ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილის გაკონტროლებას.

ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ სკოლას მიეცა რეკომენდაცია სასკოლო სასწავლო გეგმაში ნახსენები ძალადაკარგული ეროვნული სასწავლო გეგმის ნაცვლდ ჩაეწერა ახალი ეროვნული სასწვალო გეგმის ნოემრი. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა მოსწავლეთა შეფასების სისტემას. სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმაში ბუნდოვანი იყო ჩანაწერი, თუმცა საკლასო ჟურნალების გადამოწმებით დადასტურდა, რომ შეფასება შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

საშუალო საფეხურზე სკოლას არჩეული ჰქონდა მეწარმეობის საფუძვლები, თუმცა მათ ეს ჟურნალში არ ჰქონდათ შეტანილი. სკოლამ ამასთან დაკავშირებით მოამზადა ახსნა-განმარტებითი ბარათი, სადაც აღნიშნა, რომ ეს ფაქტი უკავშირდებოდა მასწავლებლისა და დამრიგებლის უყურადღებობას. სკოლას მიეცა რეკომენდაცია განსაკუთრებული ყურდღება დაეთმო მოსწავლეთა აღრიცხვის ჟურნალების წარმოებისათვის.

ექპერტის განმარტებით ასევე ბუნდოვანი იყო ინკლუზიური განათლების კონცეფციის ჩანაწერი, სადაც არ იკვეთებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის ისეთი ძირითადი მიმართულებები, როგორიცაა ენობრივი ბარიერით გამოწვეული სწავლის შეფერხება. შემდეგი რეკომენდაცია შეეხებოდა კომპიუტერული ლაბორატორიისა და ბიბლიოთეკის სხვადასხვა სივრცეში განთავსებას.

დაწესბეულებამ ვიზიტის შემდეგ, დასკვნის პროექტზე წარმოადგინა წერილი, რომლის მიხედვითაც დაწესებულებამ ექპერტთა რეკომენდაციები გაითვალისწინა.

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა სკოლის დირექტორს გაეკეთებინა ხარვეზებთან დაკავშირებით კომენტარი. დირექტორის განმრტებით, კომპუტერესების ოთახში ზამთარში წყალი ჩამოვიდა, რამაც გამოიწყვია კომპიუტერების დაზიანება. ექსპერტთა ვიზიტის დროს მხოლოდ სამი კომპიუტერი იყო მუშა, დანარჩენი კი შესაკეთებლად იყო წაღებული. შესაბაისად ეს ხარვეზი გამოსწორებული იყო. ვიდეო კამერებთან დაკავშირებითაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო.
რაც შეეხებოდა, კომპიუტერების ოთახისა და ბიბლიოთეკის გამიჯვნის, ექპერტთა რეკომენდაციას სკოლა განიხილავდა, რისთვისაც ფიქრობდნენ მეორე სართულის დაშენებას.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონიათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არეას ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 10

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს არეას (ს/კ: 244555539) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

5. შპს სკოლა გიმნაზია პირველში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის შედგენისთანავე.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა და მაკა ჭიაბერაშვილმა.
ჯგუფის თავმჯდომარემ, ლელა ფიცხელაურმა, განმარტა რომ ვიზიტის პერიოდში დაიწერა რამდენიმე რეკომენდაცია და გამოიკვეთა ხარვეზები. შემაჯამებელი დავალებები ძირითადად ერთი ტიპის იყო-ტესტური, შეიცავდა დახურულ და ღია ტიპის დავალებებს, რომლებიც ძირითადად ფაქტობრივი ცოდნის შემოწმებაზე იყო ორიენტირებული, და შესაბამისად ვერ

უზრუნველყოფდა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. სკოლის დირექტორი ჩაერთო საუბარში და აღნიშნა, რომ ეს ხარვეზი სკოლის პედაგოგებმა გაითვალისწინეს და ახალი ტესტები ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით შეადგინეს.
ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ გადამოწმდა კლასებში მოსწავლეთა დასწრებისა და აღრიცხვის მაჩვენებელი, რის შედეგადაც გამოვლინდა , რომ მე-12 კლასის მოსწავლეები, რომელთა რაოდენობაც მართვის ელექტრონული ბაზისა და XII კლასის საკლასო ჟურნალის სიის მიხედვით იყო 20, გაკვეთილს ესწრებოდა 3 , ხოლო აღრიცხვის დროს ,,არა“ ეწერა მხოლოდ ორ მოსწავლეს. მსგავსი მდგომრეობა იყო დანარჩენ დღეებშიც. ფიქსირდებოდა მოსწავლეების 100%-იანი დასწრება, მაშინ როდესაც ინტერვიურებისას, როგორც პირველ ისე მეორე დღეს ვერც ერთმა მეთორმეტე კლასელმა ვერ დაასახელა კლასში სიით სულ რამდენი ირიცხებოდნენ.
სკოლის იურისტმა, ზვიად არძენაძემ, აღნიშნა რომ პედაგოგს, რომელმაც არ შეავსო ჟურნალი სათანადოდ, დირექციამ გამოუცხადა საყვედური.
მატერიალური რესურსის შესახებ სტანდარტის დარღვევებზე ისაუბრა ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, შპს ,, სკოლა-გიმნაზია პირველმა“ წარმოადგინა სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, რომელიც შესათანხმებლად არ ჰქონდა წარდგენილი განათლების , მეცნირების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში.
ასევე მატერიალური სტანდარტის მიმართულებით სკოლას ჰქონდა კიდევ ერთი ხარვეზი: იმ სართულზე, რომელიც სკოლის შიდა აზომვითი ნახაზით - სარდაფია, განთავსებული იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელსაც არ ჰქონდა ბუნებრივი განათების საშუალება-სარკმელი. ამ საკითხთან დაკავშირებით სკოლის დირექტორის მოადგილემ აღნიშნა რომ გაითვალისწინეს ექსპერტთა ეს შენიშვნა და როგორც კი დასრულდება სახელმწიფოში შეზღუდვები ისინი ლაბორატორიას გადაიტანენ უფრო ვრცელ და ნათელ ოთახში რომლის მოწესრიგებაც დაიწყეს, მაგრამ ვერ დაასრულეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო. საბჭოს წევრმა, ქნ-მა, მაკა მამფორიამ, იკითხა სარგებლობდა თუ არა დაწესებულება ვირტუალური ლაბორატორიით, რაზეც დირექტორის მოადგილემ უპასუხა, რომ სკოლა სარგებლობდა ვირტუალური ლაბორატორიით.
რაც შეეხებოდა ადამიანური რესურსის შესახებ სტანდარტს, აღნიშნა ექსპერტმა, სკოლას ჰყავდა 14 პრაქტიკოსი და 9 უფროსი მასწავლებელი. ასევე მასწავლებელთა ეროვნული სკოლის 2 კურსდამთავრებული. ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ ექსპერტებს ზეპირსიტყვიერად მიაწოდეს. ვიზიტის განმავლობაში არ მოხდა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდეგნა . პირადი საქმეების დათვალიერებით, სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობითა და სკოლის მართვის ელექტრონული ბაზის შემოწმებით დადგინდა, რომ პირველ კლასს მათემატიკასა და ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდას პირი, რომელიც სკოლაში დასაქმებული იყო მასწავლებლის ასისტენტის პოზიციაზე და არ იყო ჩართული მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. პირადი საქმეების გადასინჯვამ ასევე გამოავლინა, რომ ერთი უფროსი მასწავლებელი, დაწყებითი განათლების კვალიფიკაციით ასწავლიდა ისტორიას.
მასწავლებელთან დადებული ზოგიერთი ხელშეკრულება არ იყო ხელმოწერილი მასწავლებლის მიერ. გარკვეული რაოდენობა ხელშეკრულებებისა არ არის დარეგისტრირებული სარეგისტრაციო ჟურნალში. ზოგიერთ მასწავლებელთან არ იყო გაფორმებული ხელშეკრულება და არც დირექტორის ინდ.აქტით დასტურდებოდა მათი დანიშვნა შესაბამის პოზიციებზე. ასევე სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული, სკოლის ბაზაზე, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, შესაბამისად ბუნდოვანია, როგორ ხდება მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. სკოლა ჩართულია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. მასწავლებელთა 75 % არის პრაქტიკოსი. ელექტრონული ბაზის შერჩევითი დათვალიერებით არ ფიქსირდება პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში

შესრულებული აქტივობები. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნა იყო მძიმე, საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და ვინაიდან ნაწილი რეკომენდაციებისა დაწესებულებას უკვე გათვალისწინებული ქონდა, დაწესებულებას მიეცა 60 დღიანი ვადა დარჩენილი ხარვეზების გამოსასწორებლად.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 10

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შანიძე ნატალია